1999 წლის 2 აპრილი, რუსეთის ფედერაცია, ქ. მოსკოვი

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო

"აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ" დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1998 წლის გადაწყვეტილების შესრულების თაობაზე

(**დსთ-ს აღმასრულებელი სამდივნოს** ინფორმაცია)

"აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ" დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილების შესრულების მიზნით იმ ნაწილში, რომელიც ეხება დსთ-ს აღმასრულებელი სამდივნოსადმი დავალებას, დსთ-ს მონაწილე სახელმწიფოების სამხედრო თანამშრომლობის კოორდინაცის შტაბის მონაწილეობით სისტემატურად მოახსენოს დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურებს "აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ" თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილების შესრულების თაობაზე, გაეგზავნა შეკითხვები რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროებს, სამხედრო თანამშრომლობის კოორდინაციის შტაბს, მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების სარდლობას და აფხაზურ მხარეს. იმავდროულად დსთ-ს აღმასრულებელი სამდივნოსა და სამხედრო თანამშრომლობის კოორდინაციის შტაბის წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ თბილისში, სოხუმსა და ზუგდიდში, სადაც გამართეს შეხვედრები საქართველოს ოფიციალურ პირებთან, აფხაზური მხარის წარმომადგენლებთან, საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან და მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების სარდალთან.

ჩატარებული მუშაობის შედეგად მიღებული ინფორმაციაზე დაყრდნობით აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზემოთ ნახსენები სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილება შესრულებულია არასრულად. იმავდროულად გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალების ფუნქციონირებასა და მათი მანდატის შესრულებასთან, მოითხოვს კონფლიქტის მხარეებთან შეთანხმებას.

განვიხილეთ რა "აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ" დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს წინა გადაწყვეტილებების უშუალოდ დადგენილებითი ნაწილის პუნქტები, რომელიც მიღებულ იქნა წინა გადაწყვეტილებათა განსავითარებლად, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

პუნქტი 1-ლი _ შესრულებულია.

პუნქტი მე-2 _ არ შესრულებულა. ლტოლვილთა დაბრუნების დაწყებული სპონტანური პროცესი შეწყდა გალის რაიონში მომხდარი მაისის მოვლენების შედეგად.

ამჟამად დაბრუნების პროცესი სტიქიური ხასიათისაა. დაბრუნებულ ლტოლვილთა რაოდენობა ჯერჯერობით უმნიშვნელოა, რამდენადაც არ არსებობს მექანიზმები მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეს განპირობებულია რიგი მიზეზებით:

- შემუშავებული არ არის კონფლიქტის მხარეთა, რუსეთის ფედერაციისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სამმართველოს წარმომადგენლებთან შეთანხმებული უსაფრთხოების მექანიზმები.

- არ არის შექმნილი თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებულ ლტოლვილთა გარანტირებული უსაფრთხოების პირობები.

დაბრუნებულ ლტოლვილთა უსაფრთხოების გარანტიის ერთ-ერთ მექანიზმად უნდა იქცეს მათი მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მართლწესრიგის დაცვის ორგანოებში თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე. ეს საკითხი უნდა შეთანხმდეს კონფლიქტის მხარეებთან.

გალის რაიონში ცვლობით მოქმედი მილიციის ქვედანაყოფები ლტოლვილების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანას არ ასრულებენ. დსთ-ს მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიაზე კონფლიქტების აცილებისა და მოწესრიგების კონცეფციის შესაბამისად ეს ფუნქციები მშვიდობის

მხარდამჭერი კოლექტიური ძალების პოლიციის (მილიციის) პერსონალის მონაწილეობით უნდა შესრულდეს.

დაშორიშორების ხაზის გასწვრივ სიტუაციის დაძაბულობა აიძულებს მშვიდობის მხარდამჭერ ძალებს, მცირერიცხოვანი სამხედრო კონტინგენტი განალაგონ ძალთა დაშორიშორების ხაზზე მდინარე ენგურის გასწვრივ ერთმანეთისაგან 6-10 კმ-ით დაშორებული პოსტებით (მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიურ ძალებში ამჟამად იმყოფება 1 7000 სამხედრო მოსამსახურე 3000-ის ნაცვლად, როგორც განსაზღვრულია 1994 წლის ივლის-აგვისტოში ხელმოწერილი სახელმწიფოების მეთაურთა გადაწყვეტილებით და რფ ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს 1994 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით, რომლითაც ნებადართულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო კონტინგენტის გამოყენება 3 000 კაცამდე რაოდენობით). ეს არ იძლევა გალის რაიონში ლტოლვილთა ორგანიზებული გადაადგილების უზრუნველყოფისა და დაბრუნებული ლტოლვილებისათვის უსაფრთხოების პირობების შექმნის საშუალებას.

გარდა ამისა, განხორციელებული არ არის რეგიონის ეკონომიკური აღდგენისა და სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმების ნორმალიზაციის ღონისძიებები, რამდენადაც გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის შესაბამისად ამ დებულებათა რეალიზაცია პირდაპირ კავშირშია ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა მდგრადი, ორგანიზებული დაბრუნების პროცესთან.

იმავე დროს გაეროს მისიამ 1998 წლის თებერვალ-მარტის შეფასებით გამოიკვლია კონფლიქტით დაზარალებული საქართველოს რეგიონები და შეიმუშავა რეგიონების ეკონომიკური და სოციალური აღდგენის მოკლე და საშუალოვადიანი პროგრამები, დაფინანსების უზრუნველყოფით. ამასათან გაეროს საქართველოში გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ლივიუ ბოტა მიიჩნევს, რომ რეგიონების აღდგენის პროგრამა უნდა განხორციელდეს ლტოლვილთა დაბრუნების პარალელურად მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეალური პირობებთან ერთად.

გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი ასევე დაბეჯითებით ურჩევს კონფლიქტის მხარეებს, განიხილონ და გადაწყვიტონ გალის რაიონში (ძველ საზღვრებში) ლტოლვილთა დაბრუნებისა და ცხოვრების სრული ნორმალიზაციის ეტაპზე დროებითი გარდამავალი ადმინისტრაციის შექმნის საკითხი, რომელიც იმუშავებდა შუამავლების, გაეროსა და ეუთოს უშუალო მონაწილეობით.

მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, რადგან აფხაზურმა მხარემ უარი თქვა, განეხილა ეს საკითხი.

პუნქტი მე-3 _ შესრულებულია ნაწილობრივ. მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიურმა ძალებმა კოლექტიური ძალების შტაბი გადაიტანეს ქ. გალში, სადაც მუდმივად იმყოფება შტაბის უფროსი და უფროს ოპერატიულ ოფიცერთა ჯგუფი. გაიზარდა კოლექტიური ძალების პოსტების რაოდენობა გალის რაიონის იმ ნაწილში, სადაც დაბრუნდა ლტოლვილთა უდიდესი რაოდენობა.

პუნქტი მე-4 _ არ შესრულებულა. აფხაზურმა მხარემ, უსაფრთხოების ზონის გაფართოების შესახებ დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მოწოდების მიუხედავად, არაკონსტრუქციული პოზიცია დაიკავა და უარს ამბობს, განიხილოს ეს საკითხი.

მე-4 პუნქტის შეუსრულებლობის მიზეზი გახდა აგრეთვე ის, რომ მშვიდობის მხარდამჭერ კოლექტიურ ძალებს ამჟამად არ გააჩნიათ საკმარისი ძალა და საშუალებები საიმისოდ, რომ უზრუნველყონ მანდატის შესაბამისი ამოცანების ეფექტიანი შესრულება უსაფრთხოების ზონის მნიშვნელოვანი გაფართოების პირობებში.

პუნქტი მე-5 _ არ განხორციელებულ. გადაწყვეტილების ამ პუნქტში გადმოცემული თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მიმართვას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე- სახელმწიფოებისადმი, _ რომლებმაც ხელი მოაწერეს გადაწყვეტილებას კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალების გამოყენებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის ოპერაციის განხორციელების მანდატის დამტკიცების შესახებ, _ უფრო აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მშვიდობისყოფის ოპერაციაში რუსეთის ფედერაციასთან ერთად, პასუხი არ მოჰყოლია.

პუნქტი მე-6 _ გრძელდება მუშაობა. რუსეთის ფედერაცია, როგორც დსთ-ს თავმჯდომარე სახელმწიფო, საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მეშვეობით და გაეროს სამდივნოში ატარებს საორგანიზაციო მუშაობას მსოფლიო თანამეგობრობისა

და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კონფლიქტით გამოწვეული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და ჰუმანიტარული პრობლემების გადაჭრის უფრო ეფექტიანი ხელშეწყობისათვის. 1998 წლის თებერვალში აფხაზეთში, საქართველო, მუშაობდა გაეროს მისია მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელმაც შეიმუშავა მოხსენება და წინადადებები კონფლიქტით დაზარალებული რეგიონების ეკონომიკური აღდგენის მოკლე და საშუალოვადიანი პროგრამების შესახებ.

პუნქტი მე-7 _ არ შესრულებულა იმ ნაწილში, რომელიც ეხება გაეროსათვის მიმართვის აუცილებლობას საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობაში თანამეგობრობის-მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელ მეთვალყურეთა ჯგუფი შეყვანის შესახებ. ამგვარი მიმართვა ნიუ-იორკში რუსეთის წარმომადგენლობის მეშვეობით გადაეცა გაეროს სამდივნოს. ოფიციალური პასუხი ჯერ არ არის.

პუნქტი მე-8 _ შესრულებულია. მომზადებულია უტყუარი ინფორმაცია.

პუნქტი მე-9 _ შესრულებულია. ამ გადაწყვეტილების ტექსტი გავრცელდა გაეროს უშიშროების საბჭოში 1998 წლის მაისში.

წინადადებები:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ 1998 წლის 31 მაისს ამოიწურა მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების ყოფნის ვადა აფხაზეთში, საქართველო, და მშვიდობის მხარდამჭერ ოპერაციაში რეალური პროგრესის არქონასთან დაკავშირებით; განხორციელებული არ არის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებების _ "აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციის განვითარების შესახებ" "აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის მიმდინარეობის შესახებ" 1997 წლის 28 მარტის და "აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ" 1998 წლის აპრილისა _ ძირითადი დებულებების განუხორციელებლობის გამო, აუცილებელია გაიმართოს დსთ-ს მონაწილე-სახელმწიფოთა კონსულტაციები, საგარეოპოლიტიკურ უწყებათა ხელმძღვანელების დონეზე, რომლებმაც ხელი მოაწერეს გადაწყვეტილებებს კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდაჭერის კოლექტიური ძალების გამოყენებისა და აფხაზეთში, საქართველო, მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციის მანდატის დამტკიცების შესახებ, იმ მიზნით, რომ შეათანხმონ რუსეთის ფედერაციასთან ერთად ამ სახელმწიფოთა რეალური მონაწილეობის შესაძლო ფორმები მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციის შემდგომ გაგრძელების, მათ შორის, აგრეთვე, მათი მონაწილეობა მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციის დაფინანსებასა და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფის საქმეში.

თანამეგობრობის საგარეო საქმეთა მინისტრებისა და მთავრობის მეთაურების საბჭოებთან კონსულტაციების შედეგების მიხედვით მოამზადონ და სახელმწიფოების მეთაურთა მორიგ სხდომაზე გაიტანონ შეთანხმებული წინადადებები.

2. მხედველობაში იღებენ რა მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების წინაშე მდგარი ამოცანების მოცულობასა და ხასიათს, კონფლიქტის ზონაში მყოფი მშვიდობისმყოფელების რიცხვობრივი შემადგენლობა აიყვანონ 3000 კაცამდე იმის გათვალისწინებით, რომ დაინტერესებული თანამეგობრობის მონაწილე-სახელმწიფოები გამოყოფენ სამხედრო კონტინგენტს და ჩამოაყალიბონ (შეადგინონ) სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფი, როგორც განსაზღვრულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებით "აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალების გამოყენების შესახებ", რომელსაც ხელი მოეწერა 1994 წლის ივნის-აგვისტოში სამუშაო წესით.

3. კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში თანამეგობრობის მონაწილეობის ეფექტიანობის გაზრდის, თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მიერ აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგის, კონფლიქტის ზონაში მშვიდობისყოფის პოლიტიკური და სამხედრო ასპექტების კოორდინაციისა და შეთანხმების, გაეროსა და ეუთოს მისიებთან თანამოქმედების ორგანიზაციის, კონფლიქტის მოწესრიგების მიმდინარეობის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს, თავდაცვის მინისტრების საბჭოსა და სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს რეგულარული ინფორმირებისა და შესაბამის წინადადებათა შეტანის მიზნით, მიზანშეწონილია შეიქმნას

ოპერატიული სამუშაო ჯგუფი. ამ ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ თანამეგობრობის მონაწილე დაინტერესებული სახელმწიფოების, აღმასრულებელი სამდივნოსა და დსთ-ს მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო თანამშრომლობის კოორდინაციის შტაბის წარმომადგენლები.

მშვიდობის შენარჩუნების ძალების ხელმძღვანელობის სამხედრო ასპექტი თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებების რეალიზაციის პროცესში მიზანშეწონილია დაეკისროს დსთ-ს მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო თანამშრომლობის კოორდინაციის შტაბს.

4. რეკომენდაცია მიეცეთ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შეთანხმდნენ აფხაზეთის, საქართველო, გალის რაიონში ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამართალდამცავი სტრუქტურების შემადგენლობაში თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებული ლტოლვილების შეყვანის შესახებ.

5. კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა რუსეთის ფედერაციისა დ გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისარიატის სამმართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობით გამართონ მოლაპარაკებები და შეთანხმდნენ ლტოლვილთა დაბრუნების მექანიზმზე და მოამზადონ ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ორგანიზებული ეტაპობრივი დაბრუნებისთვის, უწინარეს ყოვლისა, გალის რაიონში (ძველ საზღვრებში). ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ამ პირთა უსაფრთოების გარანტიის უზრუნველყოფის ქმედითი ღონისძიებების შემუშავებას.

6. დაუშვებლად მიაჩნია რა ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ორგანიზებული დაბრუნების შემდგომი გაჭიანურება აფხაზეთში, საქართველო, და პირველ რიგში, გალის რაიონში (ძველ საზღვრებში), დაბეჯითებით ურჩევს მხარეებს, ლტოლვილთა დაბრუნებისა და ცხოვრების სრული ნორმალიზაციის ამ ეტაპზე გადაწყვიტონ საკითხი გალის რაიონში (ძველ საზღვრებში) დროებითი გარდამავალი ადმინისტრაციის შექმნის შესახებ, რომელიც შუამავლების, გაეროსა და ეუთოს უშუალო მონაწილეობით იმუშავებს დაბრუნებული მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტიის ქმედითი მექანიზმების საფუძველზე.

მხოლოდ აფხაზეთში, საქართველო, და უწინარეს ყოვლისა, გალის რაიონში (ძველ საზღვრებში) ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა მდგარდი, ორგანიზებული დაბრუნების პროცესთან უშუალო, პირდაპირი კავშირის პირობით განხორციელდეს რეგიონის ეკონომიკური აღდგენის ღონისძიებანი და სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმის ნორმალიზება.

7. რეკომენდაცია მიეცეთ კონფლიქტის მხარეებს, ოთხმხრივ შეხვედრებში მონაწილეობისათვის, რომელიც ტარდება ყოველკვირეულად მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების სარდლის ხელმძღვანელობით (კონფლიქტის მხარეები, გაეროს მისიისა და მშვიდობის მხარდამჭერი ძალების სარდლობა), გამოგზავნონ თავიანთი მუდმივი წარმომადგენლები, რომლებსაც მინიჭებული ექნებათ ოპერტიული გადაწყვეტილებების მიღების შესაბამისი უფლებამოსილებანი.

(Сборник документовб касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятых в период 1992 по 1999 г. г., составитель Г. Уридия, Тб., 1999, გვ. 123-127/ საკუთარი თარგმანი)